

პრეზიდენტის ახალი ბანკარბულები დეტალები

„მულტიპლექს“ წყლის მიწოდების სისტემაში ინვესტიციების განხორციელების ვალდებულება მოეხსნა

ლევან აბრამიშვილი

ბოლო პერიოდში საქართველოში „საინვესტიციო გარემოს შექმნა“ და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების ყველა შესაძლო საშუალებით გაზრდა საშიში ტენდენციებით ხასიათდება. ამ პროცესთან მიმართებაში ერთ-ერთი საკამათო საკითხი წყლის ობიექტების საექვო ვითარებაში გაყიდვა გახდა. აღნიშნულ თემაზე „ნაციონალურმა ბიზნესმა“ არაერთხელ დაწერა. ამჯერად ვაგრძელებთ ყველასთვის მტკიცებულ თემას.

საქართველოს პრეზიდენტის ბოლო განკარგულებით, შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედისთვის“ საბანკო გარანტია 25 მილიონი აშშ დოლარიდან 5 მილიონამდე შემცირდა. ეს თანხა საპრივატიზაციო ქონების ღირებულების 5%-ს შეადგენს. **რაც შეეხება კომპანიის მიერ დაპირებულ 350 მილიონ აშშ დოლარს, რომელიც სისტემის რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კომპანიას აღნიშნული ვალდებულება აღარ გააჩნია.**

როგორც მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, ეკონომიკური ლიბერალიზაცია და ღერეგულაცია, დემოკრატიის დაბალი დონის პირობებში, შეიძლება

მძიმე შედეგებით დასრულდეს. როცა ქვეყანაში გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ინსტრუმენტები პრაქტიკულად არ მუშაობს, არ არსებობს ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგია და ადამიანის კონსტიტუციური უფლებები ხშირად კანონმდებლობით იზღუდება, ნებისმიერმა ინვესტიციამ შეიძლება ადამიანთა უფლებების შეზღუდვა და ვაზრდილი სიღარიბე მოიტანოს.

სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ 2007 წლის 20 სექტემბრის დებულებით, „ქონების პრივატიზების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად

დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო გარანტია, ან შესაბამის დეპოზიტზე განთავსდეს საპრივატიზაციო ქონების ღირებულების 5%. თუ შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობა აღემატება საპრივატიზაციო ქონების ღირებულებას, აღნიშნული საბანკო გარანტია ან დეპოზიტზე განთავსებული თანხა უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის 5%-ს“.

საქართველოს პრეზიდენტის ბოლო განკარგულებით, შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედისთვის“ საბანკო გარანტია 25 მილიონი აშშ დოლარიდან 5 მილიონამდე შემცირდა. ეს თანხა საპრივატიზაციო ქონების ღირებულების 5%-ს შეადგენს. **რაც შეეხება კომპანიის მიერ დაპირებულ 350 მილიონ აშშ დოლარს, რომელიც სისტემის რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კომპანიას აღნიშნული ვალდებულება აღარ გააჩნია.**

ისიც საინტერესოა, რომ იგივე განკარგულებით, ინვესტორმა „რუსთაველკანალში“ 5-მილიონიანი ფასდაკლება მიიღო.



წყლის ოკიპაციის განხორციელების გზით მოცული ისტორია

თბილისისა და მცხეთის წყლის მიწოდების სისტემების, გარდაბნის გამწმენდი ნაგებობისა და ჟინვალის შესყიდვებზე ინტერესთა გამოხატვა 2007 წლის 24 ივლისს გამოცხადდა.

27 ოქტომბერს ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა „მულტიპლექს სოლუმენისი“, რომელსაც 85 მილიონ დოლარად ნაყიდ ობიექტებში მომდევნო 10 წლის განმავლობაში 350 მილიონი უნდა დაებანდებინა.

საინტერესოა, რომ აღნიშნული სისტემები შედიოდა თბილისის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში მყოფ შპს „თბილისის წყლის“ საკუთრებაში. „პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, მუნიციპალიტეტის ქონების შესახებ პრივატიზაციის გადაწყვეტილება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკანონმდებლო ორგანო – საკრე-

ბულო იღებს.

რეალურად, თბილისის წყალმომარაგების სისტემა საპრივატიზაციო ნუსხაში თბილისის მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საკრებულოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე შევიდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაირღვა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარეგულირებელი უფლებით გაცემის შესახებ“. რაკი შემოთავაზებული ობიექტების პრივატიზაციის შესახებ საკრებულოს დადგენილება არ არსებობს, ჩატარებული ტენდერი შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს.

ეს უკანონობები, ფაქტობრივად, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 და 24 ნოემბრის განკარგულებებით დაიფარა, ჩამოთვლილი ობიექტები იმავე კომპანიას პირდაპირ

ბოლო იღებს. რეალურად, თბილისის წყალმომარაგების სისტემა საპრივატიზაციო ნუსხაში თბილისის მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საკრებულოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე შევიდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაირღვა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარეგულირებელი უფლებით გაცემის შესახებ“. რაკი შემოთავაზებული ობიექტების პრივატიზაციის შესახებ საკრებულოს დადგენილება არ არსებობს, ჩატარებული ტენდერი შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს.

შეგახსენებთ, რომ საექვო თვით „მულტიპლექს სოლუმენისი“ წარმომავლობაც, რომელსაც წყლის სექტორის მართვის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია. კომპანიის შესახებ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ის შვეიცარიაში, 2005 წელს, ხუთი პირის მიერ დაფუძნდა.



მარბარეტ ტიტჩერის განდუმობის პოლიტიკა



ექსპერტების განცხადებით, ქართული ეკონომიკის განვითარება, რაც კერძო სექტორის უცილობელ გაძლიერებას გულისხმობს, პირველ რიგში, კვლევას, მართვის ცივილიზებული სტანდარტების დამკვიდრებას, ნაციონალური კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებ-

ბლობასთან პარამონიზაციას და მსოფლიო გამოცდილებების გადახედვას უნდა ემყარებოდეს და არა საბაზრო ეკონომიკის ახალ რელიგიად გამოცხადებას, რის უკანაც, როგორც წესი, ოლიგარქიული ინტერესები.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ინგლისია – ფაქტობრივად ერთადერთი განვითარებული ქვეყანა, სადაც წყლის სისტემები კერძო მფლობელობაში გადავიდა. თუმცა ამას გარკვეული გამართლებაც ჰქონდა. „თბილისის წყლისგან“ განსხვავებით, ბრიტანეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წყლის მიწოდების სისტემები წაგებიანი იყო და წყლის შუუფერხებელ მიწოდებას ვერ უზრუნველყოფდა.

ნეოლიბერალიზმის პოლიტიკა ინგლისში მარგარეტ ტიტჩერის დროს გატარდა. წყლის რესურსების პრივატიზაციის სასარგებლოდ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ლოზუნგები

გამოიყენეს: პრივატიზაცია ქმნის კონკურენციას; ნებისმიერი რესურსის ღირებულებას ბაზარი განსაზღვრავს; კომერციულ საწყისზე გადასვლა ინვესტირებისა და ეფექტური მართვის საუკეთესო საშუალებაა.

1984 წელს წყლის პრივატიზაციის პირველი მცდელობა ძლიერი საზოგადოებრივი წინააღმდეგობის გამო ჩაკარდა. თუმცა ბრიტანეთის მთავრობამ თავისი გაიტანა და 1988 წელს მიიღეს ახალი კანონი წყლის შესახებ. წყლის სისტემის მფლობელები ახლად ჩამოყალიბებული კერძო კომპანიები გახდნენ, წყლის მიწოდების სისტემები სექტორებად გადანაწილდა და 25 წლის ვადით გაიცა. ამან მთლიანად გამოირიცხა კონკურენცია და კერძო მონოპოლიები შეიქმნა. რეფორმამ კომპანიების მოგების გაზრდა მომხმარებლის ხარჯზე უზრუნველყო.

შედეგად, გადასახადები პირველივე

წელიწადს გაორმაგდა. ტარიფის ზრდამ 8 წლის განმავლობაში 142% შეადგინა. დამონტაჟდა ინდივიდუალური მრიცხველები. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც გადახდის უუნარო აღმოჩნდა, გათიშეს. ჩაჭრების რაოდენობა პირველი 5 წლის განმავლობაში გასამმაგდა და 18 636 ოჯახს მაღწია. კომპანიები მოგების ძირითად ნაწილს დივიდენდებში გასცემდნენ და სექტორის ინვესტირებას არ ახდენდნენ. ამან კი ძლიერი ოპოზიცი-

ური მოძრაობა გამოიწვია. 1998 წლის ახალი კანონით, წყლით სარგებლობა ადამიანის კონსტიტუციურ უფლებად აღიარეს და გათიშვები საბოლოოდ აიკრძალა. საქართველოში წყლის მიწოდების ობიექტების საექვო ვითარებაში გასხვისება მოსახლეობაზე მთლად დადებითად რომ არ აისახება, ამის პროგნოზირება არცთუ ისე რთულია. ერთი რამ უკვე უდავოა: ორჯერ გაძვირებული წყლის ფასი 2009 წლიდან კიდევ გაორმაგდება.